

საქართველო



საბიროსა და იუროს
ჟურნალი № 2

ფასი 60 თეთრი

თებერვალი
2003

„ნიანგის“ ნაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

ზოგიერთ პარლამენტარს!

ახია, ჩემზე ახია,
მე პერიკლი დორი,
ამბობდა: კანონს გამოვსებ,
ვიქნები თანამორი.

მოვტყუვდი, კლიარ მოვტყუვდი,
დორი დავიწი თაზა,
ის სიმღერებში ნივიკობს,
მე დამსვა თოთხებ ლარზე.

ამორგავალი



თემა და ნახ. მ. აბაშიძის

ჩვენს უიღბლო სინამდვილეში, არეულობა და განუკითხაობა სამწუხაროდ, ნამეტანი გაგვიგრძელდა. ამგვარი ქაოსი, არც ადრე აკლდა ჩვენს ქვეყანას. ეტყობა დიდი აკაკიც შემსწრე იყო მსგავსი ორომტრიოლისა, თორემ ასე სახტად არ დარჩებოდა:

დიდება შენდა, უფალო!
სხვა დროა... უცნაურიო...
გადაუბრუნდა ქვეყანას
თვალი, ენა და ყურიო!..

ქვეყნის გადაბრუნების სავალალო ნიშანი გახლავთ ისიც, რომ არაერთი თავხედი, წამგლეჯი, მექრთამე და გაიძვერა ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა (მათმა ნაწილმა პარლამენტშიც კი მოიკალათა), ბევრმა ღირსეულმა პიროვნებამ კი დაყვინთა. მრავალთა შორის, მძარცველ-ყაჩაღების რისხვამ, „ნიანგმაც“ დაყვინთა, მაგრამ ზოგიერთებს უნდა ახსოვდეთ - „ნიანგს“ ყვინთვა ეხერხება და შეიძლება იქაც მოიგდოს ხელში საკბილო, წყალში იგი არანაკლებ საშიშია. უბედურებათა უმრავლესობა, მოგეხსენებათ, ხმელეთზე ხდება და ამიტომაც საქართველოს პრეზიდენტმა ყველაფერი იღონა, რათა „ნიანგს“ წყლიდან ამოეყვინთა. ამოჰყო თავი,

გაიარ-გამო-
იარა და რას
ხედავს: არ-
მად ნაშოვ-
ნით ნათქვ-
ლეფი, ნაირ-

ნაირი ღორები ისე იყვნენ დასიებულ-დასუქებულნი, რომ მჭლე „ნიანგი“ მათ ასე იოლად ვერ შეებრძოლებოდა. არადა, რა უსინდისოდ, გამომწვევად დასაიერნობდნენ გადამძარი, ქონმორეული ანტიპოდები ზედ მის ცხვირწინ; თანაც ურცხვად გაიძახოდნენ, ბიზნესმენები ვართ და ჩვენია ქვეყანაო. სწორედ ისინი იყვნენ, ზღაპრული სასახლეები რომ აიშენეს, ვირთხებივით შეესივნენ ხაზინას და ქვეყანა ცარიელზე დატოვეს. ყოველივეს ბოლო არ უჩანს.

ერთი ამბავიცაა დამაფიქრებელი, თუმცა ასეთი უბადრუკია კონკურენცია: ვითომდა სხვადასხვა მანკი-

ერებასთან, ათასგვარ უმსგავსობასთან საბრძოლველად სოკოებივით მომრავლდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკებივით თვითგაქორცხადებული, თვითმარქვია ფსევდო-იუმორისტული ყურნალები.

როგორც ჩანს საქართველოს არც წარსულში აკლდა მწერლობაზე საეჭვოდ გაქაჩული რედაქტორ-გამომცემლები და მოჟურნალისტო გრაფომანები, თორემ სულმნათი ვაჟა-ფშაველა თითქმის საუკუნის წინათ, 1906 წელს, ასე ირონიულად არ დაიხივლებდა: რედაქტორებით გაივსო ეს ჩვენი დედაქალაქი, მსურველიც კიდევ ბევრია, ვით გაზაფხულზე ბალახი.

ვინ არ იცის „ნიანგს“ ხუმრობის გარეშე გაძლება არ შეუძლია და ამ ხუმრობა-ხუმრობაში, თქვენ წარმოიდგინეთ, მას დაარსებიდან 80 წელი უსრულდება. ნაკლები მნიშვნელობისა არც ის ფაქტი გახლავთ, რომ „ნიანგის“ ყველაზე გამორჩეული რედაქტორის, ქართული იუმორის მზის (უკვდავებისათვის ერთ კაცს მარტო ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ იღვია ეყოფოდა),

ჩვენი უნიჭიერესი და უპოპულარესი მწერლის ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 2003 წლის 14 ივლისს 75

არ გვაქვს საქმე სასახლეოვდა?!

წელი გახდება (მის იუბილეს მთელი საქართველო და დარწმუნებული ვარ, არა მარტო საქართველო აღნიშნავს). „ნიანგი“ რისი „ნიანგი“ იქნება თუ ძველ და ახალ „ნიანგელებს“ არ მოუყრის თავს, ამ ორ დიდებულ თარიღს ხელდაამშვენებული არ შეხვდება და შესაფერის, საგანგებო ნომრებს არ მიუძღვნის. მკითხველმა ისიც მინდა იცოდეს, რომ ჩვენს ძვირფას, მუდამ კეთილად მოსაგონარ ზაურ ბოლქვაძეს ამა წლის აპრილში დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდება და მისგან ნაამაგარი „ნიანგი“ აღუნიშნავად არც ამ საიუბილეო თარიღს დატოვებს.


რაც შეეხება ხუმრობას, ძველად მეფეს ერთი ხუმარა ჰყავდა. მხოლოდ იმას ჰქონდა ხუმრობის უფლება მეფის კარზე და სხვას არავის. დღეს ბევრი ხუმრობს, მაგრამ ცოტა იცინის, ხუმრობის სიმდარის გამო. გამოვიტყდებით და „ნიანგსაც“ შეეყარა ეგ სენი. ხუმრობა სახუმარო საქმე არ გეგონოთ. დაცინვა კაცს კლავს. კარგი ხუმრობა კი მიმკვდარებულს აცოცხლებს. მოუზომელი ხუმრობა დაცინვაში გადადის. იმასაც მნიშვნელობა აქვს რა დროს იხუმრებ და რაზე იხუმრებ. „სატირა არის მრისხანე სიცილი. სიცილი ყველაზე საყვარელი სახეობის იარაღია“, - წერდა მიაკოვსკი. „დაცინვის ეშინია თვითონ იმასაც კი, ვისაც ამა ქვეყნად აღარავისი ეშინია“, ამბობდა გოგოლი. „გამკითხავი სიცილი ბასრ ხმალზე უფრო მჭრელია...“, გვაფრთხილებდა დიდი ილია.

საამაყო, რომ ჟურნალ „ნიანგის“ ავტორები და სარედაქციო კოლეგიის წევრები მუდამ იყვნენ და არიან გამოჩენილი ადამიანები: ჭაბუა ამირეჯიბი, მურთაზ აბაშიძე, თენგიზ მირზაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილი.



თავისი წარსულითაც ამაყობს „ნიანგი“; 60 წლის იუბილეს ჟურნალს ულოცავდნენ საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები: ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, აკაკი ბაქრაძე, ოტია იოსელიანი, ექს-რედაქტორები: კარლო კალაძე, ვახტანგ ჭელიძე, ნოდარ დუმბაძე, ელგუჯა მალრაძე, გრიგოლ აბაშიძე, ნიკო შველიძე, ტელეგადაცემა „ოქროპირი“, „კროკო-დილის“ მთავარი რედაქტორი - ალექსეი პიანოვი.

„ნიანგი“ ცდილობს შეინარჩუნოს ძველი ღირსება და ამავე დროს იღვეს იმ სადარაჯოზე, სადაც დევნიად აქვს: „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“ ეძებს გზებს, რათა თავი დააღწიოს ფინანსურ კრიზისს, ეძებს ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გადაარჩინონ ქართული კულტურა, ქართული იუმორი. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებოდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, შესანიშნავი იუმორისტი და ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივანი 50-იან წლებში - მოსე ქარჩავა. თითქოს სიმბოლურია და ფრიად საინტერესოც, რომ რედაქციის კარი მოკრძალებით შემოაღო შპს „ლოის“ დირექტორმა ლოიდ ქარჩავამ და შემოგვთავაზა თანადგომა. პროფესიით ეკონომისტი, მწიგნობარი, მრავალი სამეცნიერო-პუბლიცისტური სტატიებისა და საქვეყნოდ აღიარებული წიგნის ავტორი - „როგორ გავხდეთ ბიზნესმენი“. აი, ახლა კი გვეშველა. გავიფიქრე, ნოდარ დუმბაძეც ხომ პროფესიით ეკონომისტი იყო, მაგრამ ბიზნესმენობისა რა მოგახსენოთ. ლოიდ ქარჩავა ეკონომისტიც არის და ბიზნესმენიც. იგი „ნიანგის“ და მოსე ქარჩავას სიყვარულმა მოიყვანა ჩვენთან. მან ჩამოაყალიბა საგამომცემლო-კომპიუტერული სერვის-ცენტრი და თავის თანამშრომლებთან ერთად გვერდში დაუდგა ჟურნალ „ნიანგის“ კოლექტივს. დაუნდობელი კონკურენციის პირობებში ასეთმა მხარდაჭერამ დიდი სტიმული მისცა სარედაქციო საქმიანობას. ჟურნალის გამოცემის პარალელურად უნდა აღდგეს ტრადიციული გამოცემები, როგორცაა „ნიანგის ბიბლიოთეკა“, „ნიანგი გზებსა და გზაჯვარედინებზე“. ერთობლივი გამოცემებით შეიძლება მკითხველს კლასიკოსთა ნაწარმოებებიც მივაწოდოთ.



საქართველოს დროშა ზამთრის სეზონისათვის

მიუხედავად დღევანდელი ცხოვრების უკულ-მართობისა და სიდუხჭირისა, ძირძველი, ტრადიციული, სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ შეეცდება 80 წლისთავს ისევე შემართებით შეხვდეს, როგორც ხვდებოდნენ საიუბილეო თარიღებს მისი წინაპრები. წინაპრები, რომლებსაც არ აწუხებდათ არავითარი გადასახადი, ყველაფრით უზრუნველყოფილი იყვნენ. მხოლოდ, ჟურნალის სიყვარულითა და მისი შემოქმედებითი წვით დაკავებულნი ცხოვრობდნენ. ეს სიყვარული საიუბილეო მილოცვებშიც კარგადაა გამოხატული:

„შენ, ჩემო ჭირისუფალო,
ჩემო გამზრდელი ძიძაო,
ჩემსავით არვის უყვარხარ,-
თუ გინდა,- დაგენიძავო!
გილოცავ, თანაც გისურვებ,-
არ გავცვეთოდეს კბილიო!
იცოცხლე, ვიდრე ამქვეყნად
თაღლითი გამოილიოს!“

შენი ჯგებე დუმბავა, 83 წ.

„ნიანგის“ რედაქცია თხოვნით მიმართავს სრულიად საქართველოს და შეახსენებს; თუკი „ნიანგის“ ფურცლებზე იბეჭდებოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ვალაქტიონ ტაბიძე, აკაკი შანიძე, მიხეილ ჭიათურელი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, მურმან ლებანიძე, არლი თაყაიშვილი, ალექსი ჭინჭარაული, ედიშერ ყიფიანი, შოთა ჩანტლაძე, გურამ ფანჯიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, ოთარ ჭელიძე, რომან მიმინოშვილი და ჩვენი საზოგადოების სხვა მოწინავე ადამიანები, რატომ მოაკლდა თქვენი ყურადღება რედაქციას, რომელიც ვაფაციცებით ელოდება ქართული იუმორით სავსე წერილებს, ფელეტონებს, იუმორესკებს, თემებს და ნახატ-კარიკატურებს. ნიჭიერი ავტორებისთვის „ნიანგის“ კარი მუდამ ღიაა!

— აბა, თქვენ იცით, ჩვენც ვიცინოთ და ხალხიც ვაცინოთ!
არ გვაქვს საქმე სასაცილოდ?!



ნახ. ბესიკ ზუბაშვილისა

ჯ.ბ.

საქართველოს
მინისტრული
ბიუროს
გამოცემის
სამსახური

უანი სიხარულიძე



ნ.ხ. მაღნაზ კახაშვილისა

უსიტყვოდ

„პრაფესორი“

- რა ჰქენი, ძმობილო, გაარკვიე ყველაფერი?
 - ეეე, უფროსო, მანქანის პრაფესორი ვარ და ვერ
 გავერკვევოდი?
 - აბა, ვნახოთ, რას იტყვი კარგს?
 - კარგს ვერაფერს!
 - რა იყო, რა მოხდა?
 - ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს, ყველაფერი
 მოშლილია. სხვას როგორ უნდა ანდო მანქანა? ასე
 იცის მინდობილობამ!
 - მაინც რა ჭირს?
 ჩამოვთვალო?
 - აბა, რა! ხომ უნდა ვიცოდე რაა გასაკეთებელი?!
 - პაჟალუსტა, ტორმუზების ნაკლადკები და მანუეტები
 გამოსაცვლელია, კარდანის კრესტოვინა ჩაშლილია,
 ვენტლიატორის რემენი მოსლაბებულია ბაკავოი
 სტეკლო ჩატეხილია, მატორი დასტუკებულია...
 - სკოროსტის კარობკა მოშლილია, ზადნი
 ხოდის ზერეკლუჩენიე არ ხდება. რა-
 ლიატორში ზასარენიაა. დგორ-
 ნიკებს დრაჟენია აქვს. პაკრიშკებს
 პროტექტორები სულ არ გააჩნია,
 მთლად ლისია. კარების რუჩკებს
 რეგულიროვკა უნდა. კაპოტი

გასაკრასკია. კაპოტი ხომ იცი რაა? ისაა, მოტორის
 ზევიტ რომ კრიშკაა...
 - მორჩა?
 - არა. რულს ლუფტი აქვს. ლუფტი იცი რაა?
 - არ ვიცი.
 - ესაა, როცა რულს დიდი ხალასტოი ხოდი აქვს.
 ახლა გაიგე?
 - კი.
 - სიდენიები მონჯდრეულია. ბაგაჟნიკის ზამოკი
 მოშლილია... როგორ გაკვირვებული მიყურებ, არ
 მისმენ?
 - როგორ არ გისმენ?! სულ ეგაა უენი პროფესორობა?
 - ცოტაა? კიდევ გეტყვი: ზაჟიგანიას რეგულირება
 უნდა, ისკრა არა აქვს. წინა ლევი დისკი დეფორ-
 მირებულია. პადფარნიკის სტეკლოს ტრეშინა აქვს...
 - საკმარისია, ახლა მითხარი...
 - ვა, რა გითხრა, როცა გეუბნები და არ მისმენ! ვერ
 გავიგე რა გინდა!
 - მე მინდა ქართულად გავიგონო ის, რაც ახლა
 მანქანის შესახებ მომახსენე. კი, მაშინ იქნები კაცი და
 პროფესორობასაც დაამტკიცებ.
 - ეგ რა მითხარი, უფროსო! მაგას შეუძლია თავში
 რაზვალი გამიჩინოს.



დემოკრატიული გარდაქმნების კვალდაკვალ ინტერვიუს იძლევა ცნობილი დემოკრატი დემოკრიტე მოწყობილადე.

ტელეჟუ - ბატონო დემოკრიტე, დიდ მადლობას გიხდით, რომ გამონახეთ დრო და მობრძანდით სტუდიაში. გთხოვთ მოგვასხენოთ, როგორ მიმდინარეობს დემოკრატიული გარდაქმნები და რა პერსპექტივები გაქვთ ამ მიმართულებით?

დემოკრიტე - დემოკრატიული გარდაქმნები გულისხმობს ადამიანთა უფლებების გაფართოებას არამარტო ცოცხლების, არამედ საიქიოს წარმომადგენლებისაც. მსურს სიამაყით განვაცხადო, რომ ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც მკვდრები არა მარტო პოლიტიკური ნდობით სარგებლობენ, არამედ არჩევნებშიც კი იღებენ მონაწილეობას. სიამოვნებით ავლნიშნავ, რომ ხშირად კენჭისყრის შემდეგ საიქიოელთა პროცენტული მაჩვენებელი ამა ქვეყნის მკვიდრთა მაჩვენებელს აჭარბებს კიდევ.

ტელეჟუ - როგორ ამყარებთ კონტაქტს მკვდარ სულებთან და ზრუნავთ თუ არა ცოცხლად დარჩენილებზეც?

დემოკრიტე - უკაცრავად, მაგრამ ამ საკითხზე უფრო კომპეტენტური პიროვნება ვამპირ მკვდარცოცხალაშვილი გახლავთ.

- ეთერშია სააქაოსა და საიქიოს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი, სპეციალური კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ვამპირ მკვდარცოცხალაშვილი!

ტელეჟუ - ბატონო ვამპირ! თქვენ პირდაპირ ეთერში ხართ, გისმენთ!

ვამპირი - მაპატიეთ, მაგრამ პირველ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ, რადგან ეს ჩვენი პროფესიული საიდუმლოებაა, რაც შეეხება მეორე შეკითხვას მოგანსენებთ, მაქსიმალურად ვცდილობთ ავამადლოთ ცოცხლად დარჩენილთა - უფრო სწორად გადარჩენილთა ცხოვრების დონე, დღევანდელ პირობებში, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, მოსახლეობასა და მის საარსებო საშუალებებს შორის არაადეკვატური შეფარდების გამო.

უძილო ღამეების შემდგომ მივაგენით ოპტიმალურ ვარიანტს, რაც ითვალისწინებს მატერიალური დოვლათის, სამუშაო ადგილების ზრდას, ფასების შემცირებას, თავად მოსახლეობის შემცირების ანუ სეკვესტრის ხარჯზე, ეს რასაკვირველია სეკვესტრირებულთა პროტესტს არ იწვევს, ხოლო ცოცხლად დარჩენილებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

ტელეჟუ - ბატონო სეკვესტრ! ბოლიში (ლიმილით), ბატონო ვამპირ! გთხოვთ განგვიმარტოთ ვისზე ვრცელდება სეკვესტრი?

ვამპირი - მოსახლეობის სეკვესტრი იმ იურიდიულ პირებზე ვრცელდება, რომლებიც არღვევენ ანტიმონოპოლიურ კანონს - დადგენილ ნორმაზე მეტხანს ცოცხლობენ, არ იცავენ დემოკრატიული თანაცხოვრების პრინციპებს, ძირითადად მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილის ხარჯზე არსებობენ, რაც იწვევს ჰაერის, სათბობის და ენერგეტიკული რესურსების ზედმეტ დანახარჯებს, აღიზიანებენ მაღალი ემელონის თანამდებობის პირებს და დიდ ზიანს აყენებენ ბიუჯეტს.



ო! რა ხართ ეს ჟურნალისტები, ყველაფერი გაინტერესებთ.

ტელეჟუ - მაპატიეთ, მაგრამ მარტო მათზე ვრცელდება ეს ღონისძიებები?

ვამპირი - სეკვესტრი ეხება არა მარტო იმ ადამიანებს, რომელთაც გადააჭარბეს სიცოცხლის რეგლამენტს, არამედ სხვებსაც, კერძოდ ინტელიგენციას, რომელიც ახლავს არაფერს ქმნის და ყველაფერს ითხოვს.

სეკვესტრის დროულად განხორციელებისათვის შეუფერხებლად მუშაობენ შესაბამისი სტრუქტურები - ამცირებენ შტატებს, არ გასცემენ პენსიებს, ხელფასებს, ზღუდავენ წყალს და სინათლეს... მიმდინარეობს ექსპერიმენტები ჰაერის შემცირებაზეც კი და ა.შ.

აღსანიშნავია ჯანდაცვის ორგანოების დიდი ღვაწლიც ამ საქმეში. შესაბამის სტრუქტურებს ინდივიდებიც ეხმარებიან, ღრმა პატრიოტული და მაღალმოქალაქეობრივი შეგნებით გამსჭვალულნი, ისინი თვითლიკვიდაციას ანუ თვითსეკვესტრს მიმართავენ, რითაც უზომო სამსახურს უწევენ ცოცხლად დარჩენილ მოსახლეობას. მოძმისთვის თავის დადება და ერთმანეთის გატანა ხომ ქართველთა წესია.

მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სეკვესტრზე დაქვემდებარებულ პირებს გუტარებთ ფსიქოთერაპიას, ვარწმუნებთ, რომ მათ პირობებში სიკვდილი სიცოცხლეზე უკეთესია, თუმცა ამას თავადაც კარგად ხვდებიან. გარდა ამისა ისინი მატერიალური შეღავათებითაც სარგებლობენ. ვურიგებთ საფლავის მესრებს, ზოგ შემთხვევაში კუბოებსაც. მიუხედავად სიძვირისა, არც ერთი მიცვალებული კუბოს გარეშე არ დაგვისაფლავებია.

ტელეჟუ - კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას სტუდიაში მობრძანებისათვის და ფრიად საინტერესო საუბრისათვის. მე კი მაყურებელს შევასხენებ, რომ ჩვენი სტუმრები იყვნენ ცნობილი სენციერი დემოკრიტე მოწყობილადე და სპეცკომისიის თავმჯდომარე ვამპირ მკვდარცოცხალაშვილი.

ალმანზორ თავაძე

თქმა და ნახ. მურთაზ აბაშიძის



ნახ. გიორგი ლოლუასი

წავედი თურქეთში!

აქონარიღები სტუდენტთა წერიტი ნაპუშპაკიღან

... XX-ს. ქართველ დრამატურგთაგან გამოირჩევიან: პოლიკარბე კიკაბიძე და სანდრო შაშიაშვილი.

... დარეჯანს ჩიხირთმა მოსწონდა, ლუარსაბი კი უპირატესობას ბოზბავშვს ანიჭებდა.

... ქართული საბავშვო ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან იავნან გოგებაშვილი და შიო ლუმელი.

... იმის მერე, რაც ახალ წელს ღამეს, ყაზახებმა ეკზეკუცია ჩაუტარეს და ოჯახი დაურბიეს, გოგია უიშვილი ასო-წარკვეთილი დარჩა.

უსხოური იუმორი

მოვალეობა

- მოსახვევში მოხვევის სიგნალი ჩართე, მუხრუჭი მოიმარჯვე და მანქანას მკვეთრად ნუ შემოაბრუნებ! - გააფრთხილა ელზამ ქმარი.

- თუ ღმერთი გწამს, ყბედობას მოეშვი! შენი მოვალეობაა, პოლიციელებს გაუღიმო!

მოკლე ჩართვა

- ქალბატონო, თქვენს მანქანაში დაზიანება აღმოვაჩინე!

- განა რა?!

- მოკლე ჩართვა!

- მერედა, დააგრძელეთ!

არითმობიკა

საგზაო ინსპექტორმა მანქანა გააჩერა და მძღოლი გააფრთხილა:

- აქ მაქსიმალური სიჩქარე საათში სამოცი კილომეტრია ნებადართული, თქვენ კი ას ოცს ანვითარებთ!

- მაგრამ ჩვენ ხომ ორნი ვსხედვართ?

მოწვა

მანქანით მიმავალი ქალიშვილი ახალგაზრდა მოტოციკლეტისტს დაეჯახა. ჭაბუკმა წამოაყენა მოტოციკლეტი და გამვლელს მიმართა:

- მოწმედ არ გამომყვებით?!

- არ ვიცი... რა ვიცი... საერთოდ, არ გირჩევთ პირველი გაცნობისთანავე ცოლად შეერთოთ!

შეგონება

ინსტრუქტორი დამწყებ მძღოლს ამოწმებდა:

- ვთქვათ, სრული სიჩქარის დროს მანქანის ბორბალი მოგიძვრათ. რას გააკეთებთ?

- გაზს მოვუმატებ და ვეცდები დავეწიო!

ავკონსაქტორი

-უნდა დაგაჯარიმოთ, საათში 140კმ-ით მოდიოდით.

-როგორ გეკადრებათ, ნახევარი საათია რაც სახლიდან გამოვედი.

წინადადება

- ჩემი ვაჟი თქვენს გოგონას ხელს სთხოვს!

- რა, თქვენს ვაჟს საკუთარი ხელი არა აქვს?

-ბაუბაგარია ამდენი ხანი
ჩაბოვ ვერ გავიშვართვთ ნაღვლ?



ჰ

გართმეული სენტენციები

სანამ მთავრობა ერთობა, არ გვეღირსება ერთობა.

მგონი ხელახლა დასადგენია,
სად ტალანტი გვეყავს და სად გენია.

რომ მივიღე „დავერიე“, საკუთარ ხალხს დავერიე.

ა.თ.



„მაინც ხომ საამო არის“...
ცხოვრება!... უნდა ითმინო!..
რაც გადაბრუნდა ქვეყანა,
მწყერმა დაჩიხლა მიმინო!

ანზორ ზარამია

- მოქალაქე, აქ ნუ გაჩერდები! - აფრთხილებს პოლიციელი, ხეზე მიყრდნობილ კაცს.
- რატომ?
- ეს, ხე პრივატიზებულია.

ხორცს მონატრებული თბილისელები ლობიოთილა იკლავენ შიმშილს. ჰოდა, ზოგი ჭირი მარგებელია, ქალაქში იმდენი გაზი დაგროვდა, აწი რუსეთიდან მისი შემოტანა აღარ დაგვჭირდება, პირიქით, შეგვიძლია იქით გავუგზავნოთ.

მირიან ჭიჭინაძე

„რალად გვინდა აკაკი და ილია
თუკი ჩვენთან დღეს ნავთობის მილია,
რომ ვისწავლოთ დანა-ჩანგლის ხმარება
ამერიკაც ვფიქრობ დაგვეხმარება“.

კოტე ყუბანეიშვილი

- საქართველოში უცხოეთიდან ჩამოსულ მწერალს სთხოვეს, დაეწერა მათთვის პატარა ფანტასტიკური მოთხრობა. მწერალმა უარის ნიშნად თავი გააქნია და თქვა:
- ეს შეუძლებელია, მაგალითად ჩვენთან ფანტასტიკაა თვეში შვიდი დოლარით ცხოვრება, თქვენთან კი რეალობა.

- ასეთი ცოდნით შიქს ვერ წახვალ ყმაწვილო! - ეუბნება სახელმწიფო გამომცდელი დიპლომანტს.
- არც ვაპირებ პატივცემულო, თქვენთან მინდა დარჩენა ასპირანტურაში.

შენი თავი ჯანდაბას!

(ზოგიერთ ფეხით მოსიარულეს)

ქუჩაზე რომ გადაირბენ, -
 გვერდზე არც იყურები,
 არც სიგნალს და არც შუქნიშანს
 რომ არა სცნობ სრულებით, -
 შენს თავს იგდებ ფათერაკში,
 მძლოლს კი იგდებ აბუჩად...
 (დღემდე, ხიფათს, შენისთანა
 განა ყველა გადურჩა?!)
 დალოცვილო, სხვას რად ღუბავ,
 ან ოჯახს რად აობლებ?!
 შენი ნებით რატომ გინდა,
 მოხვდე სასაფლაოზე?!
 არც შიში გაქვს და არც რიდი,
 ხალხს არ აგდებ არაფრად,
 მიაბოტებ და სიცოცხლეს
 ტოვებ ბედის ანაბრად!
 ზოგჯერ იქაც გადარბიხარ,
 სადაც აკრძალულია,
 გაგინებენ და სინდისი
 არ გაწუხებს სრულიად!
 მოითმინეთ ათი წამი
 (სხვა ვინ მდგარა აქ დიდხანს?!)
 მე თუ ველი იმ შუქნიშანს,
 შენ წინ რატომ გარბიხარ?!
 შენიშვნა თუ მოგცა ვინმემ,
 შენ მას ბურღავ თვალებით!..
 ინსპექტორს და პოლიციელს
 აქეთ ეჯაჯღანები!..
 არ იფიქრო, ამ შეკითხვას
 ვამბობ სიტყვის მასალად! -
 ზრდილობა და მორიდება,
 ნუთუ არვინ გასწავლა?!
 გვიჩენ ათას საფიქრალს და
 გულზე გვაჩენ იარებს! -
 რა ოჯახში გაიზარდე?!
 რა სკოლაში იარე?!
 ხშირად ქუჩას ისე კეტავ,
 ვით საკუთარ დარაბას!..
 ჩვენ ჩვენს თავზე ვდარდობთ,
 თორემ

შენი თავი ჯანდაბას!



ნახ. მ. აბაშიძისა

უსიტყვოდ



ნახ. მ. აბაშიძისა

-წამოხვალ, შვილო, წელს უმაღლესში ჩასაბარებლად?
 - იმ პირობით, თუ მომაწყობთ და შარშანდელივით ტყუილად
 არ მატარებთ გასაყიდი ინდაურივით!



ნახ. დ. ერისთავისა



- შვილო, ერთი „სულიკო“ დამიკარი!
 - რას ამბობ, ბაბუ, ქაჯები ვეგონებით, ვინ უკრავს ახლა „სულიკოს“?

ნახ. გ. ფირცხალავასი



- მაგათ არ ჩამორჩე, თუ ძმა ხარ, მალე დავჭირდებით!

ნახ. გ. ფირცხალავასი



- ეს ჩვენი ცხოვრების ბურჯებს გაუმარჯოს!

როდიონ ქორქიას ყურები

(იგონებს ქ-ნი რუსულად ქებულობა)


კარლო კალაძე

ბაზე იხსენებს ომის წლებს, შემოსე-
ლობას, როცა მწერლები პატარა-
პატარა ჯგუფებად რაიონებსა და
სოფლებში ჩადიოდნენ და ლიტე-
რატურულ საღამოებს მართავ-
დნენ, რის შემდეგაც, ჩვეულებრივ,
სუფრები იშლებოდა. კარლო
კალაძე და როდიონ ქორქია დასა-
ვლეთ საქართველოს რომელიღაც
რაიონში ჩასულან. შეხვედრას, იმ
დროის პირობაზე, საუცხოო პურ-
მარილი მოჰყოლია.

კარლო კალაძეს ასეთი ჩვეუ-
ლება ჰქონია - ქეიფის დასასრულს
შემწვარ გოჭის თავს მოზრდილ
ხელსახოცში გაახვევინებდა და
თან მიჰქონდა - ნამძინარეზე,
გალვიძების შემდეგ შეექცეოდა
ხოლმე. იმ საღამოსაც გამოატანეს
თეთრ ტილოში გაკონილი გოჭის
თავი, შეზარხოშებული საპატიო
სტუმრები გულითად მასპინძლებს
იქაური სასტუმროს ოთახში მოუ-
თავსებიათ.

როდიონ ქორქიას ღამით
საშინლად ასტკივანია კბილი,
დიდხანს გმინავდა თურმე. მერე
ყბა პირსახოცით აუკრავს (ყურები
უჩანდა მხოლოდ) და რის ვაი-
ვაგლახით ჩაუძინია. კარლო კალა-
ძეს გვერდით, ტუმბოზე, დაუდია
ხელსახოცში გამოხვეული გოჭის
თავი. დანა, რომელსაც თან დაა-
ტარებდა, ბალიშის ქვეშ ამო-
უდვია. დილაბინდზე, ახალგა-
ღვიძებულს, ჩვეულებისამებრ,
მოშივნია, დანა კი გამოუღია,
მაგრამ მხარი ქცევია, თვალები
არც ჰქონია წესიერად გახელილი
(ყველაზე მეტად გოჭის შეპიწ-
კინებული ყურების შეზარაუნება
მიყვარსო, ყვებოდა), ყბააკრული
ბატონი როდიონის ყურისთვის
ჩაუვლია ხელი და ის იყო, დანა
უნდა დაესვა, რომ მთელი სასტუმ-
რო როდიონ ქორქიას განწირულ
კვილს შეუძრავს. „ბოროტმოქ-
მედს“ დანა ხელიდან გავარდნია.
ასე წამწარებია კარლო კალაძეს
დიღის გემრიელი საუზმე.

ემზარ კვიციანი



„ხრამ ისკუსტვა“

კარგა ხნის ამბავია. მწერლებითა და ხელოვნების მოღვაწეებით გაძედილი ავტობუსი, რომელშიც სხვებთან ერთად კარლო კალაძეც მჯდარა, საშიშ, მთავორიან ადგილას, დიდი ხრამის პირზე მიდიოდა თურმე. ვიღაც ენაკვიმატს უკითხავს, ჩვენი ავტობუსი უეცრად რომ მოწყდეს, ხრამში გადაიჩეხოს და ყველანი დავიხოცოთ, ამ ადგილს რა დაერქმევაო?

- ხრამ ისკუსტვა! - არც დაფიქრებულა, ისე უბასუხნია ბატონ კარლოს.

სასარბებლო რჩევა

ესეც დიდი ხნის წინ მოხდა. კარლო კალაძეს ბაქოში ხლებია აზერბაიჯანული ენის შესანიშნავი მცოდნე, მშვენიერი, მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ქალბატონი, პოეტი და მთარგმნელი ლეილა ერადე. „ენობრივი ბარიერი“ რომ დაძლეულიყო, მათ ერთდროულად მოუწიათ გამოსვლა დიდი აუდიტორიის წინაშე. ბატონი კარლო, ვიდრე მისასალმებელ სიტყვას იტყოდა და ლექსებს ქართულად წაიკითხავდა, მიკროფონთან მისულა და რიხიანათ გამოუტყალებია:

- სლუშიაიტე მენია ი სმატრიტე ნა ლეილუ!

ამ ეფექტურ, გონებამახვილურ რჩევას უმაღლეს დარბაზის ხარხარი და დამსწრეთა მქუხარე ტაში მოჰყოლია, სასურველი განწყობაც მაშინვე შექმნილა.


ემზარ კვიციანიძე

„ერისკაცობა“

კომუნისტების დროს ჩოხატაურის რაიონში შემოიღეს დღესასწაული „ერისკაცობა“, რომელიც შემოდგომობით იმართებოდა. აქ დაბატიყებული იყვნენ ერის გამოჩენილი ადამიანები: ქალბატონი ნინო რამიშვილი, ბორის პაიჭაძე, ნოდარ დუმბაძე და ამავე დროს რაიონისთვის საჭირო კაცებიც. საჭირო კაცებში მოვხვდით მე და ზაურ ბოლქვაძე. კოკისპირული წვიმა მოდიოდა, ჩოხატაურის სტადიონი სავსე იყო ხალხით. ღია ცის ქვეშ იდგა მიკროფონი და სოფლის ბავშვები ლექსებს კითხულობდნენ. ჩვენ ერის თავკაცებთან ერთად სამთავრობო გადახურულ ლოჯაში ვიდექით და სიტყვაში გამოსულებს ვუსმენდით. ზაურმა ჩამჩურჩულა: „ძამა, აი, ესაა „ერისკაცობა“? ერს აწვიმს და კაცები ლოჯაში ვართ“.

ქანი სიხარულიძე

ნახ. ამირან ერაძისა



ერისკაცი
ნიკოლოზი




კ.წ.

ჩვენ მზაჯვარედინებზე

ვედრება ვაიკლოლისა ავბოინსაქპოკის წინაშე

მე, შოფერი ხელობითა, ვერ ვიქმ საქმეს ამა დატი, ჩემი დარდით ცოლი, შვილი, დედაჩემიც ავად ვრძე. შენს ხელში ვარ, არ გამწირო, საქმე ჩემი გლახად არი, ჩემი მხსნელი, აწ შენს გარდა, ან ვინ არი, ან სად არი?!

ნახ. ვახტანგ კუციასი



საგზაო უსაფრთხოების საფრთხოებელა

„უიგული“ მყავს ახალი, მომჯადოები ყოვლისა, არ შევისმინე მუდარა დედის, მამის და ცოლისა, ჭკუად დამიჯდა სტუმრობა ლოთი ძმაკაცი მძღოლისა და ღვინით გაბიპინებულს ვცლიდით ჭიქებსა ბროლისა...

ალარ ვცნობდი შუქნიშანსა - არც ყვითელსა, არც მწვანესა, ჩავჭერ ჩაუკარაბაკე გასასვლელი მანქანებსა, ვატყობ, საჭე ვახელვით სადღაც რომ მიმაქანებსა, მიკვირს: ეგ სინათლის ბოძი რალა სწორედ აქ დადგესა?

ვიცი, კაცურად გაიგებ სიტყვებს ჩემგან ახლა თქმულსა (თუმცა, ბედი არ დამინდობს მაგარ სასმელმოყვარულსა!), ვევედრები, გეაჯები, ნუ დააჩენ ოჯახს წყლულსა, დანომრილი ოქმის წერა ავენებს გულსა, მერე - სულსა.

მძღოლი რომ თხოვნით ყელს იგლეჯს (ლამის ცრემლები ღვაროსა), ოქმს იღებს ინსპექტორი და ითხოვს მძღოლისგან ლაროსა, ამბობს: „რა მთვრალმა მანქანა ტრასაზე გაატაროსა, იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბადნაროსა!“

მ.მ.



მხიარულ ტალღაზე

- რამ დაგაღონა, მეგობარო?
- სიღედრმა მაწყენინა, სულ იმას ჩასჩინებებს ჩემს ცოლს, შენი ქმარი, რამდენიც ზევითაა, ორი იმდენი მიწაშიაო!
- მერე შენი ცოლი არაფერს ამბობს?!
- როგორ არა, ნეტა სულ მიწაში იყოსო!
- * * *
- რა ზომებს ღებულობთ ტყის მეჩხერიანობის წინააღმდეგ?
- გადამჭრელს, ბატონო!
- * * *
- ილიკო, აქ რომ მღერიან, ღია ესტრადაა?!
- არა, კაცო, დახურული სასადილოა!
- * * *

- ამ შუალამისას რას აკეთებ საწყობში?
- ვასუფთავებ, ბატონო!

სათაფლია

დათვი რომ თაფლის მოყვარული ამხანაგია, ეს ნამ-დვილია, არც ჭორია, არც არაკია. არაკი გახლავთ მხოლოდ ის, რომ დათვმა, ნადირმა თაფლის ფაბრიკის დაარსება მოიწადინა. თანასოფლელთა მოაგროვა მთელი არმია და დაიჯერა, რომ მრეწველი და მეწარმეა. მურა ფიჭვანად დააყენა, წაბლა - განგამად, დირექტორობა თვით მოირგო, მთლიანად, მრგვალად. ბიძა შვილისთვის, რომ არ ეცნოთ სხვათა შორისად, - შექმნა სტატუსი ბატონ ვიცე-დირექტორისა. რა გავაგრძელო, ყველა ნაცნობს პური აჭამა, ფაბრიკის შტატში უცხო არვინ გააჭაჭანა. მათ ფუტკარიც კი არ მიუშვეს, (უცხო არისო), და სათაფლია მხოლოდ დათვის ჯიშით აივსო. დაიწყო შრომა, ოფლისდენა, გარჯა ფიცხელი, ყირაზე დადგა ფიჭვან, განგამ, მწე და მიწხელი. მსწრაფლ აითვისეს მათ ახალი საქმე საძნელო, მთლად გადათელეს ყვავილნარი კორდი და მდელი. თაფლის რეწვაში რომ არ ეცნოთ უქნარად, სუსტად, მისი კეთების ფუტკრულ წესებს იცავდნენ ზუსტად... ... პროდუქცია კი არ მიიღეს, აშკარა წუნი, არც ფერით ჰგავდა ბუნებრივ თაფლს და არცა სუნით.

* * *

მორალსაც გეტყვი, დათუნიავ, ჯერ გარეთ გამო, ნაცნობის ხათრით ცუდი თაფლი არ უნდა ჭამო.

დიდი მწერალი

„ნიანგის“ რედაქციის ხშირი სტუმარი გახლდათ კონსტანტინე ბატონი. დიდი მწერალი სატირისა და იუმორის გარეშე მას არ სწამდა. სიბრძნითა და სიმართლით აღსავსე კონსტანტინესეული იგავ-არაკები სისტემატურად იბეჭდებოდა „ნიანგის“ ფურცლებზე.

გთავაზობთ რამოდენიმე მათგანს:

ლომი და ტურა

ერთი ლომი და ერთი ტურა დამობილდნენ. ტურა მსტორად ჰყავდა ნადირთა მეფეს. თუ სადმე მონადირენი წვრილ მხეცებს დახოცავდნენ, ტურა მყისვე გეშ აიღებდა და თავის ბატონს იმ ტყეში წაიყვანდა.

ერთ დღეს ტურამ ლომი შეიყვანა ერთ ტევრში, სადაც მონადირენი მუსრს ავლებდნენ შვლებს.

როცა მადევარი ძაღლების ყეფა შემოესმათ, ლომმა შენიშნა: შემკრთალი ტურა ვაგლახად აცახცახდა.

„რა მოგდის შე ცანცარა, რამ შეგაშინა აგრე?“

„ეჰ, მე თავად გულმაგრად გახლავართ, დიდო ბატონო, ოღონდ ეგაა, მე შენს მაგივრად შევკრთი“.

მორალი: აგრე ხდება მუდამ, მშოშრები თავიანთ სიმხდალეს უძლიერესთ გადააბრალევენ ხოლმე.

ყურძნის ქურდი

ომის დროს ვილისში ჩავჯექი და ატენს წავედი, რათა ჩემი ბაღებისათვის მცირეოდენი ყურძენი მეყიდნა.

გლებებმა შემიცვნეს, არავინ არ იკისრა ყურძნის ფასის გამორთმევა, ხოლო მე ვერ ვიკადრე მუქთად წაღება ყურძნისა.

სოფლის ბოლოს იწყებოდა კოლმეურნეობების ვენახები. მთვარიანი ღამე იყო. ერთი ახალგაზრდა წინ გადამიდგა და მომაძახა:

„რისთვის გარჯილხართ, კონსტანტინე ბატონო?“

მე ავუხსენი ამჯერად ჩემი ამაოდ ჩამოსვლის მიზეზი.

„ღმერთო მომკალი, ყურძნის მეტი რა გვაქვს! წამობრძანდით ჩემთან.“ - სთქვა და ვილისში ჩამიჯდა. საკმაოდ ვრცელ ზვარში შემეყვანა მანქანიანად. მერე მივდექით მე, თავად ეს უცნობი და ჩემი შოფერი და კალათები გავავსეთ მწიფე ყურძნით.

გორს ჩავედით თუ არა, ეს კაცი ჩამოხტა და ღამე ნებისა მისურვა.

მე დიდი მადლობა მოვახსენე თავის ვენახიდან ამდენი ყურძენი რომ მითავაზა.

„ჩემი ვენახიდანო? მე ვინ მომცა ბატონო ვენახი?“

„აბა ვისი იყო ის ზვარი?“ - შევეკითხე მე.

„ეშმაკისა და დოზანასი, სულ ერთი არაა ვისიც იყო?“ - ესა სთქვა, გადაიხარხარა და ბნელ შუკაში გაუჩინარდა.

ეს იგავი ყველამ დაიხსომოს: არაა მართებული უცნობი კაცისაგან მიიღო ძღვენი, თორემ უთუოდ გაილანძღები.



მეგობრული შარჟი ვიკო ვინოკოვიძის

ზღარბი და ლოკოპინა

„ამობილო,“ - შესძახა ლოკოპინამ ზღარბს.

„მუდამ აფხორილი და გაგულისებული დადიხარ, ერთხელაც ღიმილს ვერა ვხედავ მაგ შენ დაღრენილ ლაშებზე, ამიტომაც ხმლებად გქცევია მაგ აბურძგვნილი თმები“.

„შენ რა გიშავს, ძმაო, თავი ისეთი წვრილი გაქვს და გასიპული, ყოველ ნასვრეტში იოლად შეძვრები, მე კი ბრძოლით მიხდება ამქვეყნად გზის გაკაფვა, ამიტომაც ხმლებად მექცნენ თმები“.

მომაზადა ნანა ჯაჯანაშვილმა



საბავშვო ნიანგი

გეორგიანული
გიგლიოთიქა

ქ. თბილისის ო. თეთვადის სახელობის №3 გიმნაზიის ანტიკორუფციული პროგრამის სასწავლო კურსის მასწავლებელმა ხათუნა ბურჭულაძემ დავალება მისცა მოსწავლეებს, დაეხატათ თავიანთი თვალთ დანახული კორუფცია საქართველოში. მათ შორის ამჯერად შევარჩიეთ VIII-3 კლასის მოსწავლის გიორგი ცხადაიას ნახატი.



„ნიანგი“ აცხადებს კონკურსს მოსწავლეებს შორის საუკეთესო სატირულიუმორისტული ნახატისა და ფელეტონის გამოსავლენად. გამარჯვებული მასალა გამოქვეყნდება გვერდში „საბავშვო ნიანგი“.

კონკურსის თემაა: როგორ წარმოგიდგენიათ "სიცილის გაკვეთილი?!"

ნიანგის ფოსტა

„ნიანგს“ არასოდეს მოკლება მკითხველი და გულშემატკივარი. ჩვენ არაერთი წერილი მივიღეთ, სადაც მკითხველები გვთავაზობენ

თავიანთ წინადადებებს, სურვილებს და თანადგომას გვიცხადებენ. მათ შორის საჭიროდ ჩავთავაზდეთ გიორგი კახელის წერილი თქვენთვისაც გაგვეცნო ძვირფასო მკითხველო.

დიდად პატივცემულო ბ-ნო „ნიანგო“! ორმოც წელიწადზე მეტი ხნის მეგობრობა მაქვს ჟურნალ „ნიანგთან“ (1960 წლიდან ვარ მისი აქტიური მკითხველი).

იუმორის გარეშე ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია და უფრო მეტიც, იუმორი რომ არა, აქამდე საიუმორო აღარაფერი მექნებოდა.

„ნიანგი“ იყო არის და იქნება ჩემი მეგობარი.
- ჟურნალი „ნიანგი“ ხომ არ მიგიღიათ? - ასეთი კითხვით შემოვივლი ხოლმე ჯიხურებს, ვინაიდან თანამედროვე ჟურნალ-გაზეთების მოზღვავებულ ხანაში, „ნიანგი“ მოფარებულში არის ხოლმე გადატანილი; სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა მისი გამოშვება.

- რა ვქნათ ბ-ნო! ჯერ არ გამოუშვიათ და ჩვენ ხომ არ დავბეჭდავთ? ასეთი პასუხიც არა ერთხელ მიმიღია გამყიდველებისგან.

ჯიხურებს ვეძახი, მაგრამ რის ჯიხურები, ბევრგან ჟურნალ-გაზეთები სკამებზე, ასფალტზე დაყრილ ფიცრებზე

აქვთ დაწყობილი და წვიმისა თუ ქარის დროს ზედ ცელოფნებს გადააფარებენ ხოლმე, ცელოფნებზე კი ქვებს, აგურებსა და სხვა მძიმე საგნებს აწყობენ, რათა ქარმა არ გადახადოს, ან სულაც არ წაიღოს. ჰოდა, ბიჭი ხარ და გაიგე, ცელოფნების ქვეშ რა დევს?

ერთხელაც სახელდახელოდ დაწყობილ ფიცრებზე გადაფარებულ ჟურნალ-გაზეთებს შორის „ნიანგი“ ბოლოს იღო, მაგრამ ზედ სხვა ჟურნალები ისე ჰქონდა დაწყობილი, რომ „ნიანგიდან“ მხოლოდ „ანგი“ ჩანდა.

ჯიხურებს შემოვლარე ვეძებდი ჟურნალ „ნიანგს“ არ მოვერიდე სიცივეს, არც ქარსა, არც ნიანგსა, ჯიხურთან ახლოს ხე იდგა ჟურნალი იყო იმ ხეზე, სხვები ფიცრებზე ეყარნენ როგორც რომ ქვები რიყზე.

გამყიდველს კითხვით მივმართე: - თქვენთან „ნიანგი“ თუ არი? მან ჩემი კითხვის პასუხად გამომიცხადა უარი. პასუხით დაერჩი ნაწყენი, მან დამიტოვა იარა. გული ამიგსო სველითა და აღარც გადამიარა.


- ფიცი მწამს ქალბატონო, მაგრამ „ანგი“ მაკვირებს! - „ანგი“ მაინც მომეცით!

გამყიდველმა ქალმა ეჭვის თვალთ შემომხედა, ამთვალ-ჩამათვალღერა და მითხრა: - ასეთი ჟურნალი არ არსებობს ბატონო!

- როგორ არა, - ავერ გქონიათ კიდევაც, უთხარი და ხელი გავიშვირე ჟურნალისკენ, - ამის შემდეგ ყველაფერი გაირკვა.

სხვა ჯიხურებსაც ვეწვიე რომ გულის დარდი მეამბო.

სადაც კი მიველ, ვიკითხე: სადა ხარ ჩემი „ნიანგი“?!



საქართველოს სახალხო მხატვარს, ცნობილ კარიკატურისტს, ნაღდ "ნიანგელს" გიგლა ფირცხალავას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. "ნიანგი" პატივს მიაგებს მის ხსოვნას.

კონკურსი გრძელდება

საუკეთესო „სანიანგო“ ნაწარმოებისათვის ჟანრების მიხედვით: პროზა, პოეზია, ნახატი-კარიკატურა, თემა.

დაგვიანებულ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ვინც ვერ მოასწრო ჟურნალის გამოწერა, ჩვენ მათთვის შემონახული გვაქვს პირველი ნომრის 100 ეგზემპლარი. წლიური ხელმომწერის ფასია 7 ლარი და 20 თეთრი. მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ რედაქციაში.

„ნიანგის“ მკითხველებს!

„ნიანგს“ საკბილო არ აკლია, მაგრამ სურვილი აქვს გამოეხმაუროს თქვენს ცხოვრებაში არსებულ პრობლემებს, რაც საკმაოდ მრავლადაა. ნუ დაიზარებთ. მოგვწერეთ და ნახეთ რას იზამს „ნიანგი“.

მთავარი რედაქტორი

ბეჟან სინარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

მურთაზ აბაშიძე

ჭაბუა ამირეჯიბი

მალსაჲ კუსაშვილი (მხატ./რედაქტორი)

ნოდარ მაღალაშვილი

თენგიზ მირზაშვილი (ხუბიკა)

მერაბ სინარულიძე

ლოიდ ქარჩავა

ჯანსუღ ჩარკვიანი

თამაზ წიფიჭიშვილი

რეზო ჭეიშვილი

ჟურნალ "ნიანგის" აწვობა-დაკაბადონებას, რეკლამის განთავსებასა და რეალიზებას უზრუნველყოფს შ.პ.ს. "ლოი".

ჟურნალ „ნიანგის“ და შ.პ.ს. „ლოის“

მისამართი: 380008, თბილისი,

რუსთაველის გამზირი №42

ტელ: 93-19-42, 93-49-32, 99-55-54.

ტელ/ფაქსი: 99-78-95

ელ. ფოსტა: karchava-l@myoffice.ge

ჟურნალი გამოდის 1923 წლის 3 ივნისიდან

რეგისტრირებულია:

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის

სასამართლოს მიერ;

რეგისტრაციის №4/4-1263

ინდექსი: 76137

ნახ. გიორგი ლოლუასი



თემა ედიშერ ბურჭიბისა

ნახ. მ. აბაშიძისა



ტელ.: 99-78-95

რეკლამა

კომპიუტერული სერვის-ცენტრი

ტექნიკური და პროგრამული მომსახურება

- ახალი კომპიუტერის აწყობა ოპტიმალური კონფიგურაციით;
- ნახშირი ტექნიკის გადაიარაღება-გადღიერება;
- მაკომპლექტებლების შერჩევა-დიაგნოსტიკა;
- ტექნიკური და პროგრამული კონფლიქტების ლიკვიდაცია;
- პროგრამების ჩაწერა და ინსტალაცია;
- ოპერაციული სისტემის და დრაივერების დაყენება.

პროგრამირება და დიზაინი

- პროგრამების შედგენა ინდივიდუალური შეკვეთით;
- მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა;
- WEB გვერდების შედგენა, განთავსება და მართვა;
- რეკლამების, აბრების, ეტიკეტების, WEB გვერდების დიზაინი.

კომპიუტერის ინდივიდუალური კურსები

- ოპერაციული სისტემა (სრული კურსი);
- საოფისე პროგრამები (პროფესიონალური დონე);
- ფასიანი კონსულტაციები.

საბამომსახლო სერვისი

- წიგნების, ბროშურების, ვაზეთების, ჟურნალების დაკაბადონება და მომზადება გამოსაცემად;
- აკრეფა, კორექტირება, რედაქტირება;
- სატელევიზიო საარეკლამო რგოლებისა და ქულების დამზადება.

თარჯიმანთა ბიურო

- დოკუმენტაციის თარგმნა;
- თარჯიმნის მომსახურება.

მისამართი: რუსთაველის გამზ. №42,
 შ.პ.ს. „ლოი“
 ტელ: 99-78-95